საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

18 მარ 2025 წ.

KA000017714351925

№ **25/2207**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ [redacted] №2 პენიტენციური დაწესებულებიდან საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე (№8) პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ანრი,

სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა № 2 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის, [redacted] განცხადება № 8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე. მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული და აპარატის მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციის შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა, რომ [redacted], ბოლო 15 თვის განმავლობაში არ აქვს სრულფასოვანი კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან, რაც შესაძლოა მისი პირადი ცხოვრების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვას წარმოადგენდეს.

ფაქტობრივი გარემოებები

[redacted] განმარტებით, 2016 წლიდან სასჯელს იხდიდა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში (ამ თანმიმდევრობით - [redacted]).[1] აღნიშნულ პერიოდში დაუბრკოლებლად სარგებლობდა ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით და იღებდა ამანათს. 2023 წლის დეკემბერში გადაიყვანეს № 1 პენიტენციურ დაწესებულებაში (სადაც იმყოფებოდა დაახლოებით 6 თვე), ხოლო შემდგომ - № 2 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც იმყოფება დღემდე (იმყოფება დაახლოებით 8 თვე). ვინაიდან მისი ოჯახის წევრები [redacted] ცხოვრობენ, ტერიტორიული სიშორისა და სხვა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, ვეღარ ახერხებენ მის № 2 პენიტენციურ დაწესებულებაში მონახულებას და ამანათით უზრუნველყოფას. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ითხოვს №8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას.[2]

[redacted] საცხოვრებელი მისამართის, მის მიერ პაემნის/ამანათის უფლებით სარგებლობის შეფერხების, ასევე, მისთვის განსაზღვრული სასჯელის მოხდის ტიპისა და საშიშროების რისკის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა №2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს.[3]

დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციით დადასტურდა, რომ მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილს [redacted] წარმოადგენს. აპარატს ასევე ეცნობა, რომ მსჯავრდებული **№2 პენიტენციურ დაწესებულებაში 2024 წლის 19 ივლისის შემდგომ იმყოფება და მითითებულ პერიოდში, არ უსარგებლია ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით, ასევე, არ მიუღია ამანათი.** ამასთან, განსაზღვრული აქვს საშიშროების მომეტებული რისკი და დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდა.[4]

სახალხო დამცველის აპარატმა გადაამოწმა ასევე №1 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მსჯავრდებულის მიერ პაემნის/ამანათის უფლებით სარგებლობის საკითხი[5] და ამ შემთხვევაშიც გაირკვა, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას (21.12.2023 – 19.07.2024) [redacted] ოჯახის წევრებთან **კუთვნილი ხანმოკლე/ხანგრძლივი პაემნის უფლებით არ უსარგებლია,** ხოლო ამანათი მიღებული აქვს მხოლოდ სამჯერ (11.01.2024; 22.01.2024; 12.02.2024) - მეგობრისგან.[6]

რაც შეეხება მსჯავრდებულის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში პაემნის/ამანათის უფლებით სარგებლობას, აპარატის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე,[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული მონაცემებით დადასტურდა, რომ №2 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანამდე პერიოდში, [redacted] **ხანმოკლე პაემნის უფლებით ისარგებლა 28-ჯერ, ხოლო ხანგრძლივი პაემნის უფლებით - 8-ჯერ.** აღნიშნულ პერიოდში **მიღებული აქვს ასევე 48 ამანათი.**[8]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა პენიტენციურ დეპარტამენტს [redacted] №8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე,[9] თუმცა უწყებამ განმარტა, რომ მსჯავრდებულის გადაყვანა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე არ იგეგმება.[10]

აღსანიშნავია ისიც, რომ პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული მონაცემებით,[11] №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია [redacted] ბრალდებული/ მსჯავრდებული, 2025 წლის 19 თებერვლის მდგომარეობით, დაწესებულებაში ფაქტობრივად იმყოფებოდა [redacted] ბრალდებული/მსჯავრდებული.

სამართლებრივი დასაბუთება

პენიტენციურ სისტემაში უსაფრთხოების საკითხს ცალსახად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის გარე სამყაროსთან კონტაქტი, როგორც მისი პირადი ცხოვრების უფლების შემადგენელი ელემენტი.

პატიმრის შესაძლებლობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური დაწესებულება, თუ პატიმარი მოთავსებული იქნება სახლიდან ისე შორს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების განხორციელება მნიშვნელოვნად დაბრკოლდება, ან შეუძლებელი გახდება, ეს შესაძლოა გახდეს ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძველი,[12] ამასთან, სასამართლოს შეფასებით, მსჯავრდებულის სოციალური კავშირების დაკარგვა (პაემანი, სატელეფონო ზარი, მიმოწერა), სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს გათავისუფლების შემდეგ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს.[13]

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ მიეკუთვნება აბსოლუტური ხასიათის უფლებათა კატეგორიას და მასში ჩარევა შესაძლებელია ტრადიციული ტესტის[14] დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა ევროპული სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის უფლების შეზღუდვას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, ერთი წელი და სამი თვე ოჯახის საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, რაც, ფაქტობრივად, იწვევს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვას, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან ბალანსად და კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად არაერთ საქმეში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც მსჯავრდებული განთავსებული იყო საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ მიზეზით, სრულყოფილად ვერ იყენებდა ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებას.[15]

სასამართლოს შეფასებით, ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ პატიმარს ოჯახის წევრებთან სიახლოვის შენარჩუნებაში. [16]

ანალოგიური მიდგომაა ჩამოყალიბებული მოცემულ საკითხთან მიმართებაში არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში თუ სახელმძღვანელო წესებში. მაგალითისთვის, ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.[17] ამასთან, ოჯახთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი, თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.[18]

ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ" ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.[19] ამავე დოკუმენტის თანახმად, პატიმრები მოთავსებული უნდა იყვნენ, თუ ეს შესაძლებელია, მათ სახლსა თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.[20]

წინამდებარე საქმის ანალიზი

პენიტენციური დეპარტამენტის უარი [redacted] № 8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანაზე, რომელიც №2 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, დახურული ტიპისაა, უსაფრთხოების მოტივითაა დასაბუთებული.

მართალია მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში მსჯავრდებულის განთავსების ზოგადი წესიდან საგამონაკლისო გარემოებებს, მათ შორის მსჯავრდებულისა და სხვა პირთა, ასევე, პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფას,[21] თუმცა [redacted] შემთხვევაში ცალსახაა, რომ ტერიტორიული სიშორე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მსჯავრდებულისთვის, შეინარჩუნოს სრულყოფილი კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან, რაც თავის მხრივ, არათანაზომიერ ჩარევას შეიძლება წარმოადგენდეს მის პირად ცხოვრებაში. როგორც უკვე აღინიშნა, მას **2023 წლის დეკემბრის შემდგომ (რაც ერთ წელზე მეტ დროს წარმოადგენს) ოჯახის წევრებთან პაემნით არ უსარგებლია,** ასევე, მხოლოდ სამჯერ აქვს მიღებული ამანათი (№1 პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში).

სახალხო დამცველი იზიარებს პენიტენციურ სისტემაში უსაფრთხოების საკითხის მნიშვნელობას. ამავდროულად, დახურული ტიპის დაწესებულებებთან მიმართებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის დაწესებულებებში, მინიმალურია მსჯავრდებულებს შორის კონტაქტი, ან/და მსჯავრდებულების კონტაქტი დაწესებულების თანამშრომლებთან (დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილება ხდება მხოლოდ ყოველდღიური გასეირნების შემთხვევაში, დღის განრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში, როგორიცაა მაგალითად შემოწმება, ასევე, სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობა და სხვა).

ამასთანავე, დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №117 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს № 8 პენიტენციური დაწესებულების დებულებით განსაზღვრულია მკაცრი წესები. მსჯავრდებულებს შეუძლიათ გადაადგილდნენ დაწესებულებაში ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ იზოლირებულ დანაყოფებზე, დღის განრიგით დადგენილი წესით.[22] დღის განრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა პროცედურებზე (შემოწმება, პაემანი ან სხვა შეხვედრა, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა და სხვა) გასვლის დროს მსჯავრდებულს ევალება დაიცვას წესრიგი, დაემორჩილოს დაწესებულების წარმომადგენლის კანონიერ მოთხოვნას.[23]

აღსანიშნავია ასევე, რომ № 8 პენიტენციურ დაწესებულებაში, ბრალდებულები და მსჯავრდებულები განთავსებულები არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[24] დებულებით დადგენილი წესები მნიშვნელოვნად ამარტივებს უსაფრთხოების დაცვას დახურული ტიპის დაწესებულებებში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ პენიტენციური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, №8 პენიტენციურ დაწესებულებაში, ამ ეტაპზე, არ ფიქსირდება გადატვირთულობის პრობლემა, რაც მსჯავრდებულის გადაყვანის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სრულყოფილად შეფასდეს წინამდებარე რეკომენდაციაში წარმოდგენილი ყველა გარემოება და კიდევ ერთხელ გადაიხედოს პენიტენციური დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, იმსჯელოთ მსჯავრდებულ [redacted] №2 პენიტენციური დაწესებულებიდან №8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

---

[1] მსჯავრდებული ირიცხებოდა და ამჟამადაც ირიცხება სამეურნეო მომსახურებაში, შესაბამისად, დაწესებულებებში ხშირი გადაადგილება, მისი განმარტებით, განპირობებული იყო კონკრეტული დაწესებულებიდან მიღებული მოთხოვნით ამა თუ იმ სამუშაოების შესრულების საჭიროების შესახებ.

[2] მსჯავრდებულის მოთხოვნა კონკრეტულად №8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ოჯახის წევრებისთვის გამარტივებულია აღნიშნულ დაწესებულებამდე ტრანსპორტირება, ხოლო №10 დაწესებულებაში მონახულება დამატებით ხარჯებთან და ტექნიკურ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, [redacted] ცხოვრობენ მისი ნათესავები, რომლებიც დაეხმარებიან ამანათით უზრუნველყოფის კუთხით.

[3] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 17 დეკემბრის №2024/7311 წერილი.

[4] №2 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 18 დეკემბრის №378091/01 პასუხი.

[5] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 28 თებერვლის №25/1678 წერილი.

[6] №1 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 7 მარტის № 62409/01 პასუხი.

[7] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 19 დეკემბრის №2024/7407 წერილი.

[8] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2025 წლის 17 იანვრის №12368/01 პასუხი.

[9] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 5 თებერვლის №25/814 წერილი.

[10] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2025 წლის 5 თებერვლის №32893/01 პასუხი.

[11] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2025 წლის 19 თებერვლის № 47566/01 პასუხი.

[12] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ვინტმანი უკრაინის წინააღმდეგ, №28403/05, §78.

[13] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, №31469/08, §62.

[14] გათვალისწინებული იყოს კანონით, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

[15] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, №11082/06, №13772/05. ასევე, 2022 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, №31469/08.

[16] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე მესინა იტალიის წინააღმდეგ, № 25498/94. ასევე, 2025 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ, №41418/04, § 110.

[17] ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 17.1.

[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[19] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი №106.

[20] იქვე, წესი 59.

[21] პენიტენციური კოდექსი, მუხ. 52, ნაწ. 4, ქვეპ. „დ".

[22] მუხ. 20, პ. 1.

[23] მუხ. 20, პ. 5.

[24] მუხ. 14, პ. 1.

პატივისცემით,

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი